საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1399

29/09/2021

ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფონას მიმდებარე ტერიტორიაზე 1 307 720 მ ^{3} დიორიტის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფონას მიმდებარე ტერიტორიაზე 1 307 720 მ^3 დიორიტის მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი - წიფის დიორიტის საბადო მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფონას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 900-1200 მეტრის სიმაღლეზე. ობიექტის ფართობია 178 730 მ^2, ხოლო GPS კოორდინატები: X - 372140, Y - 4653483; X - 371860, Y - 4653663; X - 371619, Y - 4653496; X - 371556, Y - 4653271; X - 372048, Y - 4653194. წარმოდგენილი ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. წიფა სალიცენზიო ტერიტორიიდან დაშორებულია 800-850 მ-ით, სოფ. ფონა - 2300-2400 მ-ით. ამასთან, სალიცენზიო ობიექტიდან 350 მეტრში მდებარეობს ეკლესია. ობიექტიდან ხარაგაულის რაიონული ცენტრი დაშორებულია 20-22 კმ-ით. სალიცენზიო ტერიტორია ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფარგლებში, კერძოდ, ხარაგაულის სატყეო უბანში. ობიექტი უშუალოდ ემიჯნება უსახელო მდინარის მარჯვენა ნაპირზე გამავალ, სატყეო დანიშნულებისათვის განკუთვნილ გრუნტის გზას. სალიცენზიო ობიექტი და მიმდებარე ტერიტორია დაფარულია მრავალწლიანი ტყით.

ტექტონიკური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მიეკუთვნება ამიერკავკასიის მთათაშუა არეს, ცენტრალური აზევების ზონას, ძირულის ქვეზონას. გეოლოგიური თვალსაზრისით, წიფის დიორიტის საბადო აგებულია იურული (ბათური) ასაკის ინტრუზიული ქანებით, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია კვარციანი დიორიტებით და ზოგან გრანოდიორიტებითა და გრანიტებით. კვარციანი დიორიტი წარმოდგენილია არათანაბრად გავრცელებული, წვრილ და საშუალომარცვლიანი სახეობებით. ქანი ნაცრისფერი და ღია ნაცრისფერია, ზოგან მოვარდისფრო ელფერით. პროდუქტიული ფენის ზედა ნაწილი გამოფიტულია, გადაფარულია დელუვიური ნალექებითა და ნიადაგის ფენით.

მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მდებარეობს ზემო იმერეთის დაბალმთიან ზონაში, ძირულას კრისტალურ მასივზე, მდ. ჩხერიმელას მარჯვენა უსახელო შენაკადის, V-სებური პროფილის მქონე ხეობის მარჯვენა ფერდზე. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს უსახელო გორაკის აღმოსავლური ექსპოზიციის

მქონე ფერდობის ქვედა ნაწილს, რომლის რელიეფი ცვალებადი დახრილობისაა და საშუალოდ შეადგენს 35-40°-ს.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი დეტალურადაა დაძიებული. საძიებო სამუშაოების ფარგლებში გაყვანილია ჭაბურღილები, შურფები და თხრილები, აღებულია კერნული და მონოლითური სინჯები. მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტზე არსებული მარაგებია: მოსაპირკეთებელი ქვა A კატეგორია (122 120 მ^3), საღორღე ნედლეული A კატეგორია (62 240 მ^3); B კატეგორია (262 960 მ^3); C1 კატეგორია (589 880 მ^3); C2 კატეგორია (392 640 მ^3) - ჯამში A +B +C1+ C2 = 1 307 720მ^3. ობიექტზე თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები არ არის დაფიქსირებული.

სკრინინგის განცხადების თანახმად, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები ხელსაყრელია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. არსებული გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება დაგეგმილია ღია კარიერული წესით.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური, ატმოსფერულ ჰაერზე, წყალზე, ნიადაგზე ზემოქმედება, ასევე, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება. ამასთან, წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების შესახებ. განცხადებაში არ არის განხილული ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენების საკითხები. დოკუმენტაციაში აგრეთვე, არ არის ასახული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია და არ არის შეფასებული საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა.

მიუხედავად გეოსაინფორმაციო პაკეტში ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების გამორიცხვასთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაციისა, დოკუმენტაციიდან ვერ ირკვევა წიაღისეულის მოპოვების დროს განხორციელდება თუ არა აღნიშნული სამუშაოები. ამასთან, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის ინფორმაცია წიაღის მოპოვების ხანგრძლივობის თაობაზე. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ წინასწარ არ არის ცნობილი რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტიდან 350 მეტრში ფიქსირდება ეკლესია. დოკუმენტში განხილული არ არის წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ეტაპზე აღნიშნულ ეკლესიაზე შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობა ან/და მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა სკრინინგის დოკუმენტაციის შეუსაბამობას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მოთხოვნებთან, კერძოდ, დოკუმენტში უახლოესი საცხოვრებელი სახლების/სხვა ტიპის ნაგებობების და სოფლის სარგებლობაში არსებული მიწების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობას, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ მოძველებულ ლიტერატურას, ლიცენზიის გაცემის ვადებსა და პირობებს, საქმიანობის მახასიათებლებისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაციის არარსებობას.

სკრინინგის განცხადების შესწავლისას დგინდება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფონას მიმდებარე ტერიტორიაზე 1 307 720 m^3 სასარგებლო წიაღისეულის (დიორიტი) მოპოვება მასშტაბის, მოპოვების მეთოდისა (ღია კარიერული წესით) და მდებარეობის გათვალისწინებით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფონას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (დიორიტი) მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ,,წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი